APM TERMINALS
Lifting Global Trade

თარიღი: 06.06.2024 წ.

ადრესატები: სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“-ს / APM Terminals Poti-ს მომხმარებლები
ფორვარდერული კომპანიები
სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეები / მფლობელები

საგანი: მომხმარებლებისთვის გადაცემის ადგილზე გადმოყვანილი სატრანსპორტო საშუალებების გაყვანის დრო და წესები

მოგესალმებით!

როგორც მოგეხსენებათ, მას შემდეგ, რაც მომხმარებელი გაივლის შესაბამის პროცედურებს გეზ „ფოთსა“ **და სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“-ს (ს/კ: 215080999)** (შემდგომში **„ნავსადგური“**) მომხმარებელთა მომსახურების ცენტრში, ელოდება რიგს სატრანსპორტო საშუალების გადმოსაყვანად ნავსადგურის საბაჟო საწყობში (მისამართი: საქართველო, ქ. ფოთი, ჯავახიშვილის ქ. №32) მომხმარებელთათვის სატრანსპორტო საშუალებების გადასაცემად განკუთვნილ ადგილზე, საიდანაც ან თავად გაჰყავს მომხმარებელს სატრანსპორტო საშუალება ან დათვალიერების შემდეგ, მომხმარებლის მოთხოვნით, სატრანსპორტო საშუალება ნავსადგურის ავტომტვირთველს გადაჰყავს საბაჟო საწყობის გამშვებ პუნქტთან.

სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როდესაც მომხმარებლები ითხოვენ ერთი ან რამდენიმე სატრანსპორტო საშუალების გადმოყვანას გადაცემის ადგილზე, მაგრამ სატრანსპორტო საშუალებები საბაჟო საწყობიდან გაჰყავთ არა დაუყოვნებლივ ან გონივრულ ვადაში, არამედ რამდენიმე საათში ან დღეში, რაც იწვევს გადაცემის ადგილის გადატვირთვას, ამცირებს ტექნიკისა და მომხმარებელთათვის გადასაცემი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისა და დგომის ტერიტორიას, ქმნის მათი ან მითითებულ ტერიტორიაზე მოძრავი ქვეითების დაზიანების საფრთხეს, აფერხებს საოპერაციო პროცესებს საბაჟო საწყობში და ზრდის სხვა მომხმარებელთა ლოდინის დროს.

სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“ / APM Terminals Poti, როგორც უსაფრთხოებასა და ხარისხიან მომსახურებაზე მკაცრად ორიენტირებული, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე კომპანია, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და არსებული მდგომარეობის დასარეგულირებლად / რისკების შესამცირებლად, ნერგავს ახალ წესებს, რომლებიც ამოქმედდება **2024 წლის 06 ივლისიდან,** კერძოდ:

- ✓ **მომხმარებლისთვის ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაცემის ადგილზე გადმოყვანილმა სატრანსპორტო საშუალებამ სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“-ს საბაჟო საწყობი უნდა დატოვოს მითითებულ ადგილზე განთავსებიდან 90 წუთის განმავლობაში;**
- ✓ **წინააღმდეგ შემთხვევაში, სატრანსპორტო საშუალება გადაცემის ადგილიდან ავტომტვირთველით დაბრუნდება პარკირების ადგილზე და მომხმარებელს მოუწევს განმეორებით დგომა რიგში და გადმოყვანის მოთხოვნა;**
- ✓ **ამასთან, ამგვარ შემთხვევებში, მომხმარებელს სატრანსპორტო საშუალება გადაეცემა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სრულად აანაზღაურებს გადაცემის ადგილიდან პარკირების ადგილზე სატრანსპორტო საშუალების ავტომტვირთველით დაბრუნებისა და გადაცემის ადგილზე განმეორებით გადმოყვანის ხარჯებს, სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურში“ უკვე მოქმედი და საჯაროდ გამოქვეყნებული ტარიფის შესაბამისად;**

  ავტომტვირთველით სარგებლობის ტარიფი:

  „2.5. საკონტეინერო ტერიტორიაზე სატრანსპორტო ერთეულების გადამუშავება:

  2.5.3. დამატებითი აწევა ფორკლიფტის (ავტომტვირთველი) გამოყენებით - ერთეული (ერთი აწევა-გადაადგილება) 30 ლარი დღგ-ს გარეშე.“
- ✓ **თუ გადაცემის ადგილზე სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების დროს მომხმარებელი აღმოაჩენს დაზიანებას / დანაკლისს და დაიწყებს პრეტენზიის წერილის შევსების პროცედურას ან/და საჭირო იქნება სურვეიერის გამოძახება ან სხვა ღონისძიებების გატარება ან კიდევ, თუ ნავსადგურის მიზეზით შეფერხდება სატრანსპორტო საშუალების გაყვანა საწყობიდან, აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებაზე არ გავრცელდება 90 წუთიანი შეზღუდვა გაყვანისთვის და მითითებული წესები;**
- ✓ **თუ მომხმარებელს ნავსადგურის საბაჟო საწყობიდან გაჰყავს რამდენიმე სატრანსპორტო საშუალება, რომლებიც მოგვიანებით ერთდროულად უნდა დატვირთოს ავტომზიდზე, მომხმარებელს ექნება შესაძლებლობა, საბაჟო საწყობიდან გაყვანილი სატრანსპორტო საშუალებები შეზღუდული დროით უფასოდ, შემდეგ კი შესაბამისი ტარიფით ანაზღაურების პირობით განათავსოს საბაჟო საწყობის მიმდებარედ შპს „ჯორჯიან ვორქ ფორსი“-ს მიერ მოწყობილ ან ნავსადგურის ფასიან ავტოსადგომზე, დროებით, მაგრამ სატრანსპორტო საშუალებების განთავსება არ უნდა მოხდეს სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“-ს არასაპარკინგე ტერიტორიებზე, მათ შორის, გამშვები პუნქტის (გეითის) მიმდებარედ, რათა თავიდან იქნას აცილებული საგზაო მოძრაობის გადატვირთულობა და სახიფათო მოძრაობები, ასევე, სატრანსპორტო საშუალებები ხანგრძლივად არ უნდა დარჩეს დროებითი დგომისთვის განკუთვნილ ავტოსადგომზე.**

წინამდებარე ინფორმაცია **გამოქვეყნდება საჯაროდ,** ნავსადგურის საბაჟო საწყობისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე / ადმინისტრაციულ შენობაში, ასევე, კომპანიის ვებ-გვერდზე და ყველა დაინტერესებულ მხარეს ექნება შესაძლებლობა, წინასწარ გაეცნოს დადგენილ წესებს.

აქვე, **ფორვარდერულ კომპანიებს მოგმართავთ თხოვნით,** აღნიშნული ინფორმაცია დაუყოვნებლივ გაუზიაროთ შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეებს / თქვენს მომხმარებლებს.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის და გვჯერა, რომ ერთად გავაუმჯობესებთ და შევქმნით თანამშრომლობის საუკეთესო სტანდარტებს, ყველა ჩართული მხარის მართლზომიერი ინტერესების გათვალისწინებით!

პატივისცემით,

ხულიან ანდრეს ფერნანდეს როდრიგესი
სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“-ს
გენერალური დირექტორი

APM Terminals Poti
JSC Poti Sea Port Corporation
I/N 215080999
32, Javakhishvili Tsenebeli str.
4400 Poti, Georgia
T +995 493 277777
www.apmterminals.com

Classification: Internal

სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“ JSC POTI SEA PORT CORPORATION APM TERMINALS Lifting Global Trade 01 215080999 საქართველო GEORGIA